კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

0413.1.2

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 03-2024

19 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 03-2024

19 აპრილი, 2024 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

Doctoral Educational Programme in Business Administration

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

დოქტორანტურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო

ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

ვიწრო სფერო

ბიზნესი და ადმინისტრირება

დეტალური სფერო

მენეჯმენტი და ადმინისტრირება

სწავლის სფერო

ბიზნესის ადმინისტრირება

სწავლის ხანგრძლივობა

სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა 6 სემესტრი (3 სასწავლო წელი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

Doctor of Business Administration.

სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის ხელმძღვანელი,

ნინო ზარნაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

პროგრამის თანახელმძღვანელი

თეა კასრაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს **დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.**

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე. გასაუბრების დროს კონკურსანტს მოეთხოვება წარმოადგინოს კვლევითი პროექტი სავარაუდო კვლევის თემაზე, რომელშიც უნდა ჩანდეს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს თანამედროვე აქტუალური საკითხების ღრმა ცოდნა და კონკურსანტის კვლევის პოტენციალი.

გარდა ამისა, გასაუბრების დროს კონკურსანტი ვალდებულია მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ასევე, თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატსაც, რომელსაც არა აქვს შესაბამისი სამაგისტრო განათლება ბიზნესის ადმინისტრირებაში, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ან/და შრომები ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსა და მასში შემავალ ცალკეულ სწავლის სფეროებში.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება **ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.** ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი ვალდებულია ტესტირება გაიაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში.

B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა:

ტოიფელი (TOEFL PBT)ქულათა ოდენობა:არანაკლებ 513 ქულა;

ტოიფელი (TOEFL IBT)ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა; **ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა;** **ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები** **(Cambridge Exam) ცოდნის დონე: არანაკლებ FCE** პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც აბიტურიენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. **http://www.ciu.edu.ge.**
უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა განმარტებულია „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით www.alte.org

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:
მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს მაღალკვალიფიციური მკვლევარი, რომელიც:
აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ მაღალი ხარისხის ინოვაციურ კვლევას;
აკეთებს თეორიულო და პრაქტიკული ღირებულების მქონე ორიგინალურ დასკვნებს;
ახდენს კვლევის შედეგად დაგროვილი ახალი, ინოვაციური ცოდნის სამეცნიერო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორისთვის გადაცემას და გაზიარებას;
აქტიურად ერთვება სწავლა-სწავლების პროცესში და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ცოდნას გადასცემს საუნივერსიტეტო და სხვა საგანმანათლებლო საზოგადოებას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უახლესი მიღწევების კვლევაზე დაფუძნებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირებას, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად ახალი, ინოვაციური იდეების, სტრატეგიებისა და პრაქტიკული მიდგომების გენერირების და ინტეგრაციის საშუალებას იძლევა;
- კრიტიკულად იაზრებს დარგის სამეცნიერო კვლევებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების მნიშვნელობას კვლევითი და საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- არსებული თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და მიდგომების ანალიზის,

ინტერპრეტაციის და სინთეზის გზით ქმნის ახალ ცოდნას;

- მაღალი პროფესიონალიზმით იყენებს კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს

ორიგინალური სამეცნიერო კვლევების დასაგეგმად და განსახორციელებლად;

- სამეცნიერო ეთიკის პრინციპების დაცვით ახდენს კვლევის/კვლევების პრაქტიკული და

სამეცნიერო ღირებულების მქონე ინოვაციური, ორიგინალური მიგნებების საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენას და სხვადასხვა სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოაქვეყნებას;

- კვლევითი და საგანმანათლებლო მიზნებისთვის თანამშრომლობს სხვადასხვა ეროვნებისა

და დისციპლინის ექსპერტებთან და მკვლევრებთან;

- ამზადებს სასწავლო კურსებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში და სწავლების

თანამდროვე მეთოდების და სტრატეგიების გამოყენებით ახორციელებს სწავლებას საგანმანათლებლო სივრცეში.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების დაცვით დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს ორიგინალურ, მაღალი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე კვლევას/კვლევებს დარგში აქტუალურ საკითხებზე, რომელიც აკმაყოფილებს რეცენზიის (peer review) მოთხოვნებს და ქვეყნდება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ინდუქცია, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი (Flipped Classroom), ელექტრონული სწავლების მეთოდი, ჯგუფური და ინდივიდუალური კვლევითი პროექტი, პრეზენტაცია, დისკუსია და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კონპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- **მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;**
- **შუა სემესტრულ შეფასებას;**
- **დასკვნითი გამოცდის შეფასებას.**

ცოდნის შეფასება პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

სასწავლო კომპონენტის შესწავლისას, სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საერთო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

შუალედური შეფასება იყოფა კომპონენტებად (მუშაობა ლექციებზე და სამუშაო ჯგუფებში, შუალედური გამოცდები, წინასწარ შერჩეული თემის მომზადება და მისი პრეზენტაცია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, რეფერატის მომზადება და დაცვა, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ.), რომელთაც თავისი პროცენტული წილი აქვთ შუალედური შეფასების ფარგლებში.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური

შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება შეიძლება მოიცავდეს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას, ან მხოლოდ შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ **მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;**

- **თითოეულ სასწავლო კომპონენტში შუალედური გამოცდა სემესტრში შესაძლებელია ჩატარდეს რამოდენიმეჯერ (სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე) და თითოეული ფასდება 20 / 30 ქულით;**
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- **შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;**
- **შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 35 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.**
- **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს,** რომელსაც **შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;**

  შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით:**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება

და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის შეფასებას, კვლევითი კომპონენტის არცერთი სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

სადოქტორო ნაშრომის შეფასების სისტემა ასეთია:

ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

საშუალო (bene) – დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; **სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დამაკმაყოფილებელი (rite) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, **არადამაკმაყოფილებელი (insufficient)** შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად, 51-დან 100 ქულის ჩათვლით ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად და მას მიენიჭება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სფეროა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები და საზოგადოებები), აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროში. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორებს ასევე შეუძლიათ დასაქმდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, აგრეთვე შიდა

სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ელემენტები

სასწავლო კომპონენტი- 40 ECTS;

კვლევითი კომპონენტი.

სასწავლო კომპონენტი (40 ECTS)

სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო 35 ECTS) და არჩევითი (5 ECTS) ელემენტებისგან.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები (35 ECTS)

- კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები ბიზნესში **(10 ECTS);**
- სწავლების თანამედროვე მეთოდები **(5 ECTS);**
- პროფესორის ასისტენტობა **(10 ECTS);**
- თემატური სემინარი **(10 ECTS).**

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (5 ECTS)

- აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის **(5 ECTS);**
- სამეცნიერო კვლევების მართვა დოქტორანტებისათვის **(5 ECTS);**
- ფინანსური სექტორის გამოწვევები - კვლევა და ანალიზი **(5 ECTS);**
- მენეჯმენტის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი **(5 ECTS);**
- მარკეტინგის კვლევითი და ანალიტიკური ასპექტები **(5 ECTS).**

კვლევითი კომპონენტი

კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3;
- სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა.

უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელის არგუმენტირებული დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, თანახელმძღვანელად მოიწვიოს უცხოელი პროფესორი და პირიქით, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს აქვს კომპეტენცია კვლევითი კომპონენტის ნებისმიერი ელემენტის შესრულებისას უხელმძღვანელოს უცხოელ დოქტორანტს, რომელსაც სურვილი ექნება კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტში განახორციელოს სადოქტორო დისერტაციის კვლევის ნაწილი, ან კვლევა, სრულად.

სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა

სადისერტაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს თეორიული/ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.

დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, მისი წინასწარი შეფასების, საჯარო დაცვისა და საბოლოო შეფასების პროცედურები დადგენილია **„სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის სხდომის #32 ოქმით დამტკიცებული დებულებით (იხ.www. ciu.edu.ge).**

სადისერტაციო ნაშრომის არქიტექტონიკა (სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი), ასევე დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.
კვლევითი კომპონენტის არცერთი სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად, 51-დან 100 ქულის ჩათვლით ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად და მას ენიჭება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები

სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა:

- არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ელექტრონულ ან ბეჭდურ უცხოურ და ადგილობრივ რეცენზირებად გამოცემებში, რომელშიც ასახული უნდა იყოს სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები. სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს Scopus-ის ან Web of Science-ის ინდექსირებულ ბაზებში.

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის სტატუსით). (დოქტორანტი ვალდებულია მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მაინც. მისი მონაწილეობა უნდა დასტურდებოდეს სერტიფიკატითა და გამოქვეყნებული მასალებით).

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციათა რუქა

№	საგნის კოდი		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
		სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები			
1.	**DBUS014**	კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები ბიზნესში	X	X	X
2.	**DBUS002**	სწავლების თანამედროვე მეთოდები	X	X	X
3.	**DBUS003**	პროფესორის ასისტენტობა		X	X
4.	**DBUS015**	თემატური სემინარი	X	X	X
		სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები			
1.	**DBUS001**	აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის	X	X	X
3.	**DBUS015**	სამეცნიერო კვლევების მართვა დოქტორანტებისათვის	X	X	X
4.	**DBUS016**	ფინანსური სისტემის გამოწვევები - კვლევა და ანალიზი	X	X	X
5.	**DBUS017**	მენეჯმენტის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი	X	X	X
6.	**DBUS018**	მარკეტინგის კვლევითი და ანალიტიკური ასპექტები	X	X	X
		კვლევითი კომპონენტი			
1.	DBUS020	კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი		X	X
3.	DBUS010	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1		X	X
4.	DBUS011	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2		X	X
5.	DBUS012	კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3		X	X
6.	DBUS013	დისერტაციის დასრულება და დაცვა	X	X	X